სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

2021 წლის შუალედური ფინანსური ანგარიში

სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2021 წლის

შუალედური ფინანსური ანგარიში

„ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის, პასუხისმგებლობის გადანაწილების, დარეგულირების და ანგარიშვალდებულების წესი“-ის მოთხოვნათა დაცვით შედგა უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შუალედური ანგარიშგება, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტის ხელმძღვანელისათვის (რექტორისათვის)და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის (კანცლერისათვის) სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდებას, როგორც გამოყენებული რესურსების, ბიუჯეტის შესრულებისა და შედეგიანობის, დასახული მიზნების მიღწევის, ისე უნივერსიტეტში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისა და არსებული მდგომარეობის შესახებ, ხარვეზებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შემდგომი რეაგირების უზრუნველყოფისათვის

2021წლის ბიუჯეტი შედგენილია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 28-ე მუხლის „ა“ქვეპუნქტის, ასევე უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 05 აპრილის N99 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის სენატის მიერ დამტკიცებული „ნაერთი ბიუჯეტის შედგენის წესის“ ნორმათა დაცვით. 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტი განისაზღვრა 57 137 460 ლარით, ხოლო შუალედური ანგარიშის მომენტისთვის შეადგინა 65 870 890 ლარი.

საბიუჯეტო მაჩვენებლები

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები ფორმირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით, სამეცნიერო-კვლევითი გრანტების სახსრებით, კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსულობებით(საკუთარი სახსრები), რომელთა ხვედრითი წილი შემოსულობის მიმართ შეადგენს:

დასახელება	2021 წელი (ლარი)	ხვედრითი წილი %
სულ შემოსულობები	65 870 890	100%
-საკუთარი სახსრები	58 966 566	89,5%
-სახელმწიფობიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	5 901 510	9,0%
-საერთაშორისო გრანტები	1 002 814	1,5%

აღნიშნული შემუსულობები გაწერილია გადასახდელებში ღონისძიებებისა და პროექტების მიხედვით.

2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლები 2020 წლის ბიუჯეტის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებზე 8 711 915 ლარით მეტია, საიდანაც 7 612 901 ლარის მეტობა საკუთარ სახსრებზე მოდის, 1 002 814 ლარი-საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტების მაჩვენებელზე, ხოლო 96 200 ლარი-სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებაზე:

დასახელება	2021წელი (ლარი)	2020 წელი (ლარი)	2021წლისა და 2020 წლის მაჩვენებლებს შორის
სულ შემოსულობები	65 870 890	57 158 975	8 711 915
1.საკუთარი სახსრები	58 966 566	51 353 665	7 612 901
2.სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	5 901 510	5 805 310	96 200
3.საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტები	1 002 814	0	1 002 814

2021 წლის 6 თვის შემოსულობების, გადასახდელების და წლიური შემოსავლებისა და გადასახდელების მოსალოდნელი შესრულების ანალიზი საკუთარი სახსრების ჭრილში

საკუთარი სახსრების ხვედრითი წილი 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში შეადგენს 89.5%-ს და განისაზღვრება 58 966 566 ლარით. ნაშთი 01.01.21 წლისათვის შეადგენდა 1 169 537 ლარს. 6 თვის გეგმა შეადგენს 30 868 000 ლარს, ხოლო საკასო შესრულების მაჩვენებელი ნაშთის გაუთვალისწინებლად 25 970 830 ლარს, ანუ 84,1%-ს, მაგრამ თუ არ ჩავთვლით საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული სახსრების აუთვისებლობას, მაშინ შესრულების მაჩვენებელი იქნება 95.2%:

დასახელება	კოდები	6 თვის გეგმა	6 თვის საკასო	შესრულების %
სულ შემოსულობები		**30 868 000**	**25 970 830**	**84,1**
1.სწავლის საფასური სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების გათვალისწინებით	1.4.2.3.3.3.268	**23 104 595**	22 292 394	**96,5**
2.საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა	1.3.3.2.1,1	3 858 716	460 660	**11,9**
3. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა „ამფეთქებელი“(პროგრამული კოდი 32 03 01 01)	1.3.3.1.1.1.9	57 000	57 000	**100,0**

4„მეცნიერების პოპულარიზაცია-ევროპელ მკვლევართა ღამის პროექტი-მეცნიერება კაპიტანია“(პროგრამული კოდი 32 05 05)	1.3.3.1.1.1.9	30 000	30 000	**100,0**
5. სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს (32 04 02 06) ქვეპროგრამა„დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგურავისა სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს“	1.4.2.3.3,273	2 100	2 100	**100,0**
6.სამეცნიერო - კვლევითი გრანტები მ.შ.		**2 050 457**	**2 040 380**	**99,5**
6.1სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	1.3.3.1.1.1.9	1 964 716	1 954 639	**99,5**
6.2სხვა დანარჩენი გრანტები სახ. ბიუჯეტიდან	1.3.3.1.1.1.9	85 741	85 741	**100,0**
7.კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები		**1 765 132**	**1 088 296**	**61,7**
7.1.შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან	1.4.2,3,2,1	400 000	134 685	**33,7**
7.2. შემოსავალი დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან	1.4.1.1.5	30 000	0	**0,0**
7.3.შემოსავალი სახელშეკრულებო თემებიდან და თვითდაფინანსების ცენტრებიდან	1.4.4.1.2.99	1 016 611	668 224	**65,7**
7.4. მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (სან-დიეგო, საქ. ბანკი, კომუნალური გადასახადები; პოლოკლინიკა)	1.4.4.1	318 521	285 387	**89,6**

1. საკუთარი სახსრებიდან მისაღებ შემოსულობებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის სწავლის საფასურზე, რომლის შემოსავლის წყაროა სახელმწიფო სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება, სტუდენტის მიერ, ან სხვა კანონიერი წყაროებიდან გადახდილი გადასახადი. სწავლის საფასურის გეგმიური მაჩვენებელი აღებულია ფაკულტეტებისა და სასწავლო დეპარტამენტისაგან გადმოცემული მონაცემების მიხედვით, მათ შორის პირველ კურსზე მისაღები კონტინგენტის გათვალისწინებით და 2021 წლის ბიუჯეტით განისაზღვრა **46 209 190** ლარით, 6 თვის გეგმა - 23 104 595 ლარით, ხოლო საკასო შემოსავალმა შეადგინა 22 292 394 ლარი, რაც გეგმასთან შედარებით 812 201 ლარით ნაკლებია და შეადგენს 96,5%-ს. საკასო შესრულებაში ასახულია, როგორც მიმდინარე, ასევე გასული წლების ამოუღებელი სწავლის საფასური, 2020-2021 წლის პირველი სემესტრის სასწავლო გრანტის(ვაუჩერული დაფინანსება) სახით მიღებული შემოსავლები(1 642 663ლარი), რომელიც მიმდინარე წლის გეგმიურ მაჩვენებლებში არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული თანხებით ფინანსდება, როგორც ფაკულტეტის, ასევე ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯები, მათ შორის კომუნალური, საგადასახადო და სხვა ვალდებულებები. 6 თვის შემოსულობების გეგმის შესრულება ფაკულტეტების მიხედვით გვაძლევს ასეთ სურათს:

N	**ფაკულტეტის დასახელება**	შემოსულობების 2021 წლის 6 თვის **გეგმა**	შემოსავლების 6 თვის საკასო შესრულება	სხვაობა ამოსაღებ თანხასა და საკასო შესრულებას შორის	შესრულების %
1	სამშენებლო	2 605 125	2 668 385	63 260	102.4
2	ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	2 210 688	2 256 468	45 781	102,.0
3	სამთო-გეოლოგიური	1 183 415	1 106 807	-76 608	93,5
4	ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია	1 004 625	941 597	-63 028	93,7
5	სატრანსპორტო და მანაქანათმშენებლობა	2 140 950	1 443 167	-697 783	67,4
6	არქიტექტურა	1 157 688	1 185 107	27 420	102,4
7	ბიზნესტექნოლოგიები	2 289 313	2 700 150	410 838	117,9
8	ინფორმატიკა და მართვის სისტემები	3 602 140	3 476 817	-125 323	96,5
9	დიზაინის საერთაშორისო სკოლა	190 088	97 250	-92 838	51,2
10	აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი	2 064 003	2 319 398	255 396	112,4
11	საინჟინრო ეკონომიკა და მედიატექნოლოგიები	1 907 125	1 683 911	-223 214	88,3
12	სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები	2 749 438	2 413 336	-336 102	87,8
	სულ:	**23 104 595**	22 292 394	-812 201	96,5

აღნიშნული მონაცემების მიხედვით სწავლის საფასურის ამოღების თვალსაზრისით, პროგრამულ დაფინანსებაზე მყოფი ფაკულტეტების გამონაკლისის გარდა, პრობლემებია ყველა ფაკულტეტზე, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყანაში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ წინა წლების დავალიანების თანხა, რომელიც შეადგენს 5 000 000 ლარს უნდა ამოღებულიყო გეგმიური მაჩვენებლების ზემოთ, ანუ 28 104 595 ლარი(23 104 598+5 000 000), მაშინ სხვაობა გეგმიურსა და ამოსაღებ თანხას შორის იქნება 5 812 201 ლარი(22 292 394 -28 104 595).

ფინანსური მდგომარეობის შესწავლის მეტი სიცხადისათვის განვიხილოთ ფაკულტეტების 2021 წლის 6 თვეში მიღებული შემოსავლისა და გაწეული გადასახდელების საკასო შესრულების მაჩვენებლები:

№	ფაკულტეტები	**6 თვის საკასო შემოსავალი**	**6 თვის საკასო ხარჯები**	შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე (პროფიციტი)	ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე (დეფიციტი)
1	სამშენებლო	2 668 385	1 696 124	972 261	
2	ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	2 256 468	1 441 683	814 785	
3	სამთო-გეოლოგიური	1 106 807	1 205 398		-98 591
4	ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია	941 597	1 207 128		-265 531
5	სატრანსპორტო და მანაქანათმშენებლობა	1 443 167	1 664 084		-220 917
6	არქიტექტურა და დიზაინი	1 185 107	763 074	422 033	
7	ბიზნესტექნოლოგიები	2 700 150	1 245 837	1 454 313	
8	ინფორმატიკა და მართვის სისტემები	3 476 817	3 180 288	296 529	
9	დიზაინის საერთაშორისო სკოლა	97 250	273 429		-176 179
10	აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი	2 319 398	1 051 928	1 267 470	
11	საინჟინრო ეკონომიკა და მედიატექნოლოგიები	1 683 911	1 869 270		-185 359
12	სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები	2 413 336	1 256 641	1 156 695	
13	ადმინისტრაცია, ადმინისტრირება	0	4 894 566		
	სულ	**22 292 394**	**21 749 450**	**6 384 087**	**-946 577**

6 თვის შემოსულობების საკასო შესრულება შეადგენს 22 292 394 ლარს, ხოლო გაწეული ხარჯები 21 749 450 ლარს, ანუ სხვაობა შეადგენს 542 944 ლარს, საიდანაც შემოსავლების ხარჯებზე გადამეტებამ(პროფიციტი)შეადგინა 6 384 087 ლარი, ხოლო ხარჯების შემოსავლებზე გადამეტებამ(დეფიციტი)-946 577 ლარი. დეფიციტური ფაკულტეტებია:

1. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - 98 591
1. ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - 265 531 ლარი;
2. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - 220 917ლარი;
4. დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 176 179 ლარი;
5. საინჟინრო ეკონომიკისა და მედიატექნოლოგიების ფაკულტეტი - 185 359 ლარი;

აღნიშნულიდან ჩანს, რომ დეფიციტური ფაკულტეტების ხარჯები გაიწევა ფინანსურად მდგრადი ფაკულტეტების ხარჯზე, რითაც ზარალდება და ფერხდება აღნიშნული ფაკულტეტების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული დაფინანსება.

ცალკე უნდა გამოვყოთ ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების დაფინანსების პროცესი, რომელიც ფინანსდება, როგორც კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან(იჯარა, დეპოზიტები, თვითდაფინანსების ცენტრები), ასევე ფაკულტეტების მიერ მიღებული შემოსავლებიდან. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელებიდან ხდება კომუნალური, საგადასახდო და სხვა საერთო საუნივერსიტეტო ხარჯების გაწევა, რომელიც ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯებია. 6 თვის გეგმა შეადგენს 6 543 190 ლარს, შესრულებამ შეადგინა 4 894 566 ლარი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ პერიოდისათვის დაგეგმილი ღონისძიებები გადადაიდო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო და ასევე მისღები შემოსულობების შეუსრულებლობით.

მოსალოდნელი ფინანსური რისკების დასათვლელად გაანგარიშებულ იქნა შემდეგი 6 თვის მოსალოდნელი შემოსულობები და მოსალოდნელი გასაწევი ხარჯები. თუ ჩავთვლით, რომ 2021 წლის სწავლებიდან მისაღები შემოსავლის გეგმა დარჩება უცვლელი, ანუ 46 210 190 ლარი და თუ მხედველობაში მივიღებთ წინა წლებისა და მიმდინარე წლის შესრულების სტატისტიკურ მონაცემებს და ამოღების პროცენტულ მაჩვენებლად განვსაზღვრავთ 96,5 %-ს, მაშინ სწავლის საფასურიდან მისაღები სავარაუდო შემოსავალი იქნება 44 591 870 ლარი, ხოლო მოსალოდნელი წლიური გადასახდელები 44 908 690 ლარი, რომელშიც გათვალისწინებულია ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯები:

N	დასახელება	6 თვის საკასო შესრულება	დარჩენილი 6 თვის მოსალოდნელი ხარჯი	სულ 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელების მოსალოდნელი შესრულება
	სულ ასიგნება	**21 749 450**	**23 159 240**	**44 908 690**
	ხარჯები	**21 165 030**	**22 814 240**	**43 979 270**
1	**შრომის ანაზღაურება**	12 300 231	**14 814 763**	**27 114 994**
2	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	6 710 593	3 825 227	**10 535 820**
3	მივლინება	23 645	23 645	**47 290**
4	ოფისის ხარჯები	957 637	2 762 618	**3 720 255**
4.1.	კომუნალური ხარჯები	757 487	602 618	1 360 105
4.2.	შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი	0	2 060 000	2 060 000

4.3.	სხვა დანარჩენი ოფისის ხარჯები	200 150	100 000	300 150
5	წარმომადგენლობითი ხარჯები	4 806	10 000	14 806
6	სამედიცინო ხარჯები	0	6 000	6 000
7	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	720	15 000	15 720
8	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	30 660	38 000	68 660
9	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	166 580	200 000	366 580
10	**გრანტები**	**9 723**	**10 277**	**20 000**
11	**სოციალური უზრუნველყოფა**	**14 336**	**211 664**	**226 000**
12	**სხვა ხარჯები**	**946 099**	**897 046**	**1 843 145**
12.1.	საგადასახადო ვალდებულებები და მოსაკრებლები	38 896	54 046	92 942
12.2.	ემერიტუსის ანაზღაურება	644 880	618 000	1 262 880
12.3.	ავსტრიის ბანკის მარჟა	145 000	145 000	290 000
12.5.	სხვა დანარჩენი ხარჯი (მ. შ. სტუდენტების დაფინანსება)	117 323	80 000	197 323
13	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**584 420**	**345 000**	**929 420**
13.1.	შენობა-ნაგებობები	**0**	45 000	45 000
13.2.	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	134 114	100 000	234 114
13.3.	**არაწარმოებული აქტივები**	450 306	200 000	650 306

მიუხედავად იმისა, რომ სწავლის საფასურიდან მოსალოდნელ მისაღებ შემოსავალსა (44 591 870 ლარი)) და გასაწევ მოსალოდნელ გადასახდელებს(44 908 690 ლარი) შორის სხვაობა შეადგენს 316 820 ლარს, შესაძლებელია აღნიშნული სხვაობა დაიფაროს იჯარიდან მისაღები შემოსულობებით.

2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით გათვალისწინებულია დიდ ჯიხაიშის კოლეჯის სრული რეაბილიტაცია, რომლის შესაბამისი პერიოდის გეგმა შეადგენს 3 858 716 ლარს, შესრულება შეადგენს 460 660 ლარს, ხოლო გადასახდელების შესრულებამ შეადგინა 1 054 000 ლარი.

3. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის N1245792 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების განვითარების ხელეწყობის პროგრამის“(პროგრამული კოდი 32 03 01 01)„პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაფინანსების ქვეპროგრამის“ ფარგლებში 2021 წელს სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გამოეყო 57 000 ლარი(პროექტი „ამფეთქებელი“), რომელიც შესრულებულია 100%-ით.

4.„მეცნიერების პოპულარიზაცია-ევროპელ მკვლევართა ღამის პროექტი-მეცნიერება კაპიტანია“(პროგრამული კოდი 32 05 05) ნაშთმა 01.01.21-თვის შეადგინა 30 000 ლარი, რომელიც ათვისებულ იქნა აღნიშნულ პერიოდში.

5. სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს (32 04 02 06) ქვეპროგრამა „დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვისა სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს“ უნივერსიტეტის სტუდენტ გიორგი ციკოლიას გადაეცემა და მიმდინარე პერიოდისათვის შეადგინა 2 100 ლარი.

6.1 სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები აღნიშნული პერიოდისათვის საკასო ნაშთის გათვალისწინებით (933 272 ლარი)შეადგენს **2 822 161** ლარს, რომელიც მოიცავს 8 გამოყენებით, 18 ფუნდამენტურ, 5 ახალგაზრდა მეცნიერთა, 3 უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევების გრანტებს;

- გამოყენებითი გრანტების მოცულობა შეადგენს 1 191 775 ლარს;
- ფუნდამენტური გრანტების მოცულობა- 1 381 615 ლარს;
- ახლგაზრდა მეცნიერთა გრანტების მოცულობა-56 365 ლარს;
- უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა გრანტები განისაზღვრა 192 406 ლარით.

6 თვის გეგმა განისაზღვრება 1 964 716 ლარით, შესრულებამ შეადგინა 1 954 639 ლარი, ანუ შესრულებამ შეადგინა 99 5%.

6.2. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც პარტნიორი უნივერსიტეტი, მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ERASMUS+ პროექტში „მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში“- ი, გეგმა და საკასო შესრულება განისაზღვრა 85 741 ლარით.

7.1. შემოსავალი „შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან“ წლიური გეგმა განისაზღვრა 700 000 ლარით, 6 თვის გეგმამ შეადგინა 134 685 ლარს, რც გეგმის შესრულების 33,7%%-ს შეადგენს. ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, მეიჯარეების გარკვეულ ნაწილს შეუჩერდა გადასახადის გადახდის ვალდებულება, რომელიც შესაძლებელია გარკვეულწილად გამოსწორდეს წლის ბოლოსათვის.

7.2„შემოსავალი დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან’ განისაზღვრა 30 000 ლარით, დღემდე შემოსავალი მიღებული არ არის .

7.3 შემოსავალი სახელშეკრულებო თემებიდან და თვითდაფინანსების ცენტრებიდან მოიცავს სტუ-ს თვითდაფინანსების პრინციპზე მომუშავე ცენტრებიდან მიღებულ შემოსულობებს, რომლის 6 თვის გეგმა ნაშთის(279 403 ლარი) ჩათვლით შეადგენს 1 016 611 ლარს, ხოლო შესრულებამ შეადგინა 668 224 ლარი, ანუ შესრულება შეადგენს 65,7%-ს.

7.4. მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლის 6 თვის გეგმა შეადგენს 318 521 ლარს, რომელიც მოიცავს ს.ს. „საქართველოს ბანკიდან“ საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის სახელფასო მომსახურებით ექსკლუზიურად სარგებლობის სანაცვლოდ გადასახდელ თანხას, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ამავე უნივერსიტეტის კვლევით ფონდსა და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტში მონაწილე სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლების შრომის

ანაზღაურებას, ასევე მეიჯარეთა კომუნალურ გადასახდებს, ჯარიმებს, სანქციებს და შესრულებამ შეადგინა 285 387 ლარი, ანუ 89.6%.

აღნიშნული ანგარიშგებით ირკვევა, რომ დეფიციტური ფაკულტეტების ხარჯები გაიწევა ფინანსურად მდგრადი ფაკულტეტების ხარჯზე, რითაც ზარალდება და ფერხდება აღნიშნული ფაკულტეტების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული დაფინანსება და ასევე მოსალოდნელი მისაღები შემოსულობები საკმარისი იქნება უნივერსიტეტის ხელფასით, შტატგარეშეთა, ემერიტუსის ანაზღაურების, კომუნალური და საგადასახადო ვალდებულებების დაფარვისთვის, ხოლო მატერიალურ-ტენიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის გასაწევ ზოგიერთ ხარჯებზე, მოგვიწევს უარის თქმა.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სასწავლო წელი და ფინანსური წელი ერთმანეთს არ ემთხვევა. იანვრიდან სექტემბრამდე გადახდილი სწავლის საფასური წლიური გადასახდის ნახევარს შეადგენს, ანუ 8 თვის ხარჯები მხოლოდ 6 თვის შემოსავლის ხარჯზე გაიწევა, ამიტომ წლის დასაწყისში აუცილებელია პირობაა ნაშთის სახით გვქონდეს თავისუფალი სახსრები, რომელიც საშუალებას მოგვცემს შეუფერხებლად გავწიოთ ხარჯები.